საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №91/ნ
2014 წლის 23 ივლისი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებაში (ვებგვერდი, 110311011, 18/03/2011, სარეგისტრაციო კოდი 430210000.22.022.016076) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“:

1. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის მიზანია, მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

ბ.ა) პიროვნული და მორალური განვითარება;

ბ.ბ) გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;

ბ.გ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;

ბ.დ) უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;

ბ.ე) მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;

ბ.ვ) თვალსაწიერის გაფართოება.“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}“, „ბ^{2}“ და „ბ^{3}“ ქვეპუნქტები:

„ბ^{1}) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმართულებების ფარგლებში დაწყებით კლასებში (I-IV კლასები) არანაკლებ კვირაში ერთხელ ჩაატაროს კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

ბ^{1}.ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;

ბ^{1}.ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით;

ბ^{1}.გ) ანალიზის უნარის განვითარებით;

ბ^{1}.დ) მსჯელობის უნარის განვითარებით;

ბ^{1}.ე) პრეზენტაციის უნარის განვითარებით;

ბ[1].ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

ბ[2]) საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI ან XII კლასში ჩაატაროს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან შეთანხმებით;

ბ[3]) X კლასში სადამრიგებლო საათის ფარგლებში იმუშაოს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების თემატიკაზე.";

ბ) „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობელემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი.".

2. მე-17 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის საერთო ქულის გამოთვლისას."

3. 22-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, მათ შორის, აბიტურის საათის და ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გაცდენები.".

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

„1[1]. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება.";

გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი:

„2[1]. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება აბიტურის საათის გაცდენის შემთხვევაში; ასევე იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლე აღადგენს კონკრეტულ საგანში გაცდენილ შემაჯამებელ დავალებას.".

4. 23-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

9. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა.".

5. 49-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საათობრივი ბადე ქართულენოვანი სკოლების დაწყებითი საფეხურისთვის:

კლასი	I	II	III	IV	V	VI

სახელმწიფო ენა						
ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	6	6	5	5
მათემატიკა						
მათემატიკა	4.5	5	5	5	4	4
უცხოური ენები						
პირველი უცხოური ენა	2	2	3	3	3	3
მეორე უცხოური ენა					2	2
საზოგადოებრივი მეცნიერებები						
ჩვენი საქართველო					3	3
სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება				0.5		
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
ბუნებისმეტყველება	2	2	3	3	3	3
ტექნოლოგიები						
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	0.5				2	2
ესთეტიკური აღზრდა						
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2
მუსიკა	2	2	2	2	2	2
სპორტი						
სპორტი	2	2	2	2	2	2
სულ საათების რაოდენობა კვირაში	**22**	**22**	**23**	**23.5**	**28**	**28**

ბ) მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) IV კლასი: სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება ისწავლება II სემესტრში, ჯამურად 12 საათი; მუსიკის 2 საათიდან 1 საათი სკოლამ შესაძლებელია დაუთმოს ქართულ ცეკვას სურვილისამებრ;

გ) მეორე უცხოური ენის სწავლება 2014-2015 სასწავლო წლიდან დაიწყება V კლასში. სურვილისა და შესაბამისი რესურსის არსებობის შემთხვევაში, სკოლას უფლება აქვს 2014-2015 სასწავლო წლიდან მეორე უცხოური ენის სწავლება დაიწყოს VI კლასშიც.“.

გ) მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) XII კლასი: სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება ისწავლება I სემესტრში ჯამურად 14 საათი; არჩევითი საგანი ისწავლება I სემესტრში კვირაში 2 საათი. სვეტში „პროგრამული“ მოცემულია აუცილებელი დატვირთვის საათები (სავალდებულო და არჩევითი საგნებისთვის) და სვეტში „აბიტური“ მითითებულია „აბიტურის საათისთვის“ განკუთვნილი კვირეული დატვირთვა. „აბიტურის საათის“ ჩატარების საჭიროება განისაზღვრება კონკრეტული სკოლის მიერ და დარეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით.“.

დ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საათობრივი ბადე არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების დაწყებითი საფეხურისთვის:

კლასი	**I**	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**
სახელმწიფო ენა						
ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	5	5	5	5
მშობლიური ენა	5	5	5	5	5	5
მათემატიკა						
მათემატიკა	4.5	5	5	5	4	4
უცხოური ენები						
პირველი უცხოური ენა	2	2	3	3	3	3
მეორე უცხოური ენა					0-2	0-2
საზოგადოებრივი მეცნიერებები						
ჩვენი საქართველო					3	3
სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება				0.5		
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
ბუნებისმეტყველება	2	2	3	3	3	3
ტექნოლოგიები						
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	0.5				2	2
ესთეტიკური აღზრდა						
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2
მუსიკა	2	2	2	2	2	2
სპორტი						
სპორტი	2	2	2	2	2	2
სულ საათების რაოდენობა კვირაში	**25**	**25**	**27**	**27.5**	**31-33**	**31-33**

ე) მე-7 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) IV კლასი: სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება ისწავლება I სემესტრში კვირაში 1 საათი. მუსიკის 2 საათიდან 1 საათი სკოლამ შესაძლებელია დაუთმოს ქართულ ცეკვას სურვილისამებრ;

გ) 2014-2015 სასწავლო წლიდან თუ სკოლა V კლასში გადაწყვეტს მეორე უცხოური ენის სწავლებას, მას უნდა

დაეთმოს კვირაში 1 ან 2 საათი. სურვილისა და შესაბამისი რესურსის არსებობის შემთხვევაში, სკოლას უფლება აქვს 2014-2015 სასწავლო წლიდან მეორე უცხოური ენის სწავლება დაიწყოს VI კლასშიც კვირაში 1 ან 2 საათით.“

6. თავი X-ს IV, V და VI კლასები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

IV კლასი

ქართ.	არაქართ.	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში	შენიშვნა
1		ქართული ენა და ლიტერატურა	6	
	1	ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის /სექტორებისათვის	5	
	2	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის)	5	
2	3	მათემატიკა	5	
3	4	პირველი უცხოური ენა	3	
4	5	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	0.5	I სემესტრი, კვირაში 1 საათი
5	6	ბუნებისმეტყველება	3	
6	7	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	
7	8	მუსიკა	2	სკოლას შეუძლია 2-დან 1 საათი დაუთმოს ქართულ ცეკვას
8	9	სპორტი	2	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში				
		ქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის	**23.5**	
		არაქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის	**27.5**	

V კლასი

ქართ.	არაქართ.	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში	შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
					სემესტრი	
					I	II
1		ქართული ენა და ლიტერატურა	5		3	5
	1	ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის /სექტორებისათვის)	5		3	5
	2	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის)	5		3	5
2	3	მათემატიკა	4		4	6
3	4	პირველი უცხოური ენა	3		4	4
4		მეორე უცხოური ენა (ქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)	2		2	3
	5	მეორე უცხოური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)	0-2		2	3
5	6	ჩვენი საქართველო	3		2	3
6	7	ბუნებისმეტყველება	3		3	4
7	8	ისტ	2		2	3
8	9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2		2	3
9	10	მუსიკა	2		2	2
10	11	სპორტი	2			
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში						
		ქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის	**28**			
		არაქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის	**31-33**			

VI კლასი

ქართ.	არაქართ.	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში	შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
					სემესტრი	
					I	II
1		ქართული ენა და ლიტერატურა	5		3	5
	1	ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის /სექტორებისათვის)	5		3	5
	2	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის)	5		3	5
2	3	მათემატიკა	4		4	6
3	4	პირველი უცხოური ენა	3		4	4
4		მეორე უცხოური ენა (ქართულენოვანი სკოლებისათვის /სექტორებისათვის)	2		2	3
	5	მეორე უცხოური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის /სექტორებისათვის)	0-2		2	3
5	6	ჩვენი საქართველო	3		2	3
6	7	ბუნებისმეტყველება	3		3	4
7	8	ისტ	2		2	3
8	9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2		2	3
9	10	მუსიკა	2		2	2
10	11	სპორტი	2			
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში						
		ქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის		**28**		
		არაქართულენოვანი სკოლებისათვის/ სექტორებისათვის		**31-33**		

7. თავი LVII ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საათობრივი ბადე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო-საშუალო საფეხურებისათვის

კლასი	VII	VIII	IX	X	XI	XII	
						პროგრამული	აბიტური
ქართული, როგორც მეორე ენა	5	5	5	5	5	4	1

მშობლიური ენა		5	5	5		4-5	4-5	4	
მათემატიკა		4	4	4		5	5	3	1
პირველი უცხოური ენა		3	3	3		2-3	2-3	2	1
მეორე უცხოური ენა		0-3	0-3	0-3		0-2	0-2	0-2	
საქართველოს და მსოფლიო ისტორია		3	3	4		2	3	2	1
გეოგრაფია		2	2/1	2		2	3		1
სამოქალაქო განათლება				2		4/0			
ბიოლოგია		3	2	2		2			2
ფიზიკა			2	2		2	3		2
ქიმია				2		2	3	1	1
სპორტი		2	2	2		2	1,5	1	
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება		2	3/0	0/3		0/2			
მუსიკა		2	0/3	3/0		0/2			
სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება			0/1					1/0	
საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება							1,5		
არჩევითი საგნები									
არჩევითი საგანი (ბიოლოგია ფიზიკა, ქიმია)							2 და 2	2	
არჩევითი საგანი (გლობალური პრობლემების გეოგრაფია)									
არჩევითი საგანი (ეკონომიკა, სახელმწიფო და მოქალაქეობა, სამართალი)									
არჩევითი საგანი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება – პრაქტიკული კურსი, ხელოვნების ისტორია – თეორიული კურსი, ხაზვა, თეატრალური ხელოვნება, მსოფლიოს კულტურა)									
სავალდებულო საათების რაოდენობა კვირაში (არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის		**31-34**	**31-34**	**36-39**		**33-36**	**35-39**	**30-32 I სემესტრი** **29-31 II სემესტრი**	

1. ცხრილის განმარტებები:

ა) ჩანაწერი 2/1 ნიშნავს – საგანი პირველ სემესტრში ისწავლება ორსაათიანი დატვირთვით, მეორე სემესტრში – ერთსაათიანი დატვირთვით;

ბ) VIII კლასში სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება ისწავლება II სემესტრში 12 საათი;

გ) VIII კლასში გეოგრაფია ისწავლება I სემესტრი – კვირაში 2 საათი, II სემესტრი – კვირაში 1 საათი 12 კვირის მანძილზე, კვირაში 2 საათი 7 კვირის მანძილზე;

დ) VIII კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ისწავლება მხოლოდ I სემესტრში კვირაში 3 საათი, მუსიკა კი – II სემესტრში კვირაში 3 საათი;

ე) IX კლასში მუსიკა ისწავლება I სემესტრში კვირაში 3 საათი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება კი II სემესტრში კვირაში 3 საათი;

ვ) X კლასში მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ისწავლება II სემესტრში თითოეული კვირაში 2 საათი;

ზ) X კლასში სამოქალაქო განათლება ისწავლება I სემესტრში – კვირაში 4 საათი;

თ) XI კლასში საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება ისწავლება I სემესტრში – კვირაში 1 საათი, ხოლო II სემესტრში – კვირაში 2 საათი;

ი) XI კლასში სპორტი ისწავლება I სემესტრში – კვირაში 2 საათი, ხოლო II სემესტრში – კვირაში 1 საათი;

კ) XII კლასში სვეტში „პროგრამული“ მოცემულია აუცილებელი დატვირთვის საათები (სავალდებულო და არჩევითი საგნებისთვის) და სვეტში „აბიტური“ მითითებულია „აბიტურის საათისთვის“ განკუთვნილი კვირეული დატვირთვა. „აბიტურის საათის“ ჩატარების საჭიროება განისაზღვრება კონკრეტული სკოლის მიერ და დარეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით.“;

ლ) XII კლასში სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება ისწავლება I სემესტრში ჯამურად 14 საათი;

მ) არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის მეორე უცხოური ენის სწავლება არ არის სავალდებულო. ორი რიცხვის მითითება (0-3 / 0-2) გულისხმობს, რომ მათ შეუძლიათ:

მ.ა) ან გააუქმონ მეორე უცხოური ენის სწავლება საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე;

მ.ბ) ან დაუთმონ მხოლოდ 1 ან 2 საათი საბაზო საფეხურზე, ხოლო საშუალო საფეხურზე – მხოლოდ 1 საათი;

მ.გ) ან სრული დატვირთვით ასწავლონ მეორე უცხოური ენა (3 საათი – საბაზო საფეხურზე, 2 საათი – საშუალო საფეხურზე);

ნ) საშუალო საფეხურზე სკოლა თვითონ ირჩევს, რომელ უცხოურ ენას მიაკუთვნოს კვირაში 2 და რომელს – 3 საათი. შესაბამისად, მე-12 კლასში საატესტატო გამოცდებისათვის მოსამზადებლად აბიტურის 1 საათი გამოიყოფა იმ ენაში, რომელსაც მოსწავლე აბარებს.

ო)არჩევითი საგნებიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჯგუფის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საგნები და გლობალური პრობლემების გეოგრაფია ისწავლება მხოლოდ მე-12 კლასში. დანარჩენი საგნების არჩევა შესაძლებელია როგორც მე-11, ისე მე-12 კლასებში.

2. საათობრივი ბადე კლასების მიხედვით და ქულების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა

საგნების მიხედვით კომპონენტში „ შემაჯამებელი დავალება“

VII კლასი

№	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში	შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა
				სემესტრი

				I	II
1	ქართული, როგორც მეორე ენა	5		4	5
2	მშობლიური ენა	5		4	5
3	მათემატიკა	4		4	6
4	პირველი უცხოური ენა	3		2	3
5	მეორე უცხოური ენა	0-3		2	2
6	საქართველოს და მსოფლიო ისტორია	3		2	3
7	გეოგრაფია	2		2	3
8	ბიოლოგია	3		2	3
9	სპორტი	2			
10	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2		2	3
11	მუსიკა	2		2	2
	სავალდებულო საათების რაოდენობა კვირაში	**31-34**			

VIII კლასი

№	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში	შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
				სემესტრი	
				I	II
1	ქართული, როგორც მეორე ენა	5		4	5
2	მშობლიური ენა	5		4	5
3	მათემატიკა	4		4	6
4	პირველი უცხოური ენა	3		2	3
5	მეორე უცხოური ენა	0-3		2	2
6	საქართველოს და მსოფლიო ისტორია	3		2	3
7	გეოგრაფია	2/1	I სემესტრი - კვირაში 2 საათი; II სემესტრი - კვირაში 1 სთ 12 კვირის მანძილზე, 2 სთ 7 კვირის მანძილზე	2	2
8	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	0/1	II სემესტრში 12 კვირის მანძილზე		2

9	ბიოლოგია	2		2	3
10	ფიზიკა	2		2	3
11	სპორტი	2			
12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	3/0	ისწავლება I სემესტრი კვირაში 3 სთ	3	
13	მუსიკა	0/3	ისწავლება II სემესტრი კვირაში 3 სთ		2
	სავალდებულო საათების რაოდენობა კვირაში	**31-34**			

IX კლასი

№	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში	შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
				სემესტრი	
				I	II
1	ქართული, როგორც მეორე ენა	5		4	5
2	მშობლიური ენა	5		4	5
3	მათემატიკა	4		4	6
4	პირველი უცხოური ენა	3		2	3
5	მეორე უცხოური ენა	0-3		2	2
6	საქართველოს ისტორია	4		3	4
7	გეოგრაფია	2		2	3
8	სამოქალაქო განათლება	2		2	3
9	ბიოლოგია	2		2	3
10	ფიზიკა	2		2	3
11	ქიმია	2		2	3
12	სპორტი	2			
13	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	0/3	ისწავლება მხოლოდ II სემესტრში -კვირაში 3 საათი		3
14	მუსიკა	3/0	ისწავლება მხოლოდ I სემესტრში - კვირაში 3 საათი	2	

	სულ სავალდებულო საათების რაოდენობა კვირაში	**36-39**	

X კლასი

№	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში	შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
				სემესტრი	
				I	II
1	ქართული, როგორც მეორე ენა	5		4	5
2	მშობლიური ენა	4-5		4	5
3	მათემატიკა	5		4	6
4	პირველი უცხოური ენა	2-3	ჯამში ორ უცხოურ ენას უნდა ეთმობოდეს 5 საათი კვირაში. თუ ისწავლება მხოლოდ ერთი უცხოური ენა, მას ეთმობა 3 საათი	2	3
5	მეორე უცხოური ენა	0-2		2	2
6	ისტორია	2		2	3
7	გეოგრაფია	2		2	3
8	სამოქალაქო განათლება	4/0	ისწავლება I სემესტრი - კვირაში 4 საათი	3	
9	ბიოლოგია	2		2	3
10	ფიზიკა	2		2	3
11	ქიმია	2		2	3
12	სპორტი	2			
13	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	0/2	ისწავლება II სემესტრი - კვირაში 2 საათი		2
14	მუსიკა	0/2	ისწავლება II სემესტრი - კვირაში 2 საათი		2
	სავალდებულო საათების რაოდენობა კვირაში	**33-36**			

XI კლასი

№	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში	შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა
				სემესტრი

					I	II
1	ქართული, როგორც მეორე ენა		5		4	5
2	მშობლიური ენა		4-5		4	5
3	მათემატიკა		5		4	6
4	პირველი უცხოური ენა		2-3	ჯამში ორ უცხოურ ენას უნდა ეთმობოდეს 5 სთ კვირაში. არაქართ. სკოლაში/სექტორ-ზე თუ ისწავლება მხოლოდ ერთი უცხოური ენა, მას ეთმობა 3 სთ	2	3
5	მეორე უცხოური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისათვის)		0-2		2	2
6	საქართველოს და მსოფლიო ისტორია		3		2	3
7	გეოგრაფია		3		2	3
8	ფიზიკა		3		3	4
9	ქიმია		3		3	4
10	სპორტი		1,5			
11	საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება		1,5			
	არჩევითი საგნები					
12	საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი	ეკონომიკა, სახელმწიფო და მოქალაქეობა, სამართალი	2 და 2	მოსწავლე ორი არჩევითი ბლოკიდან ირჩევს ორ საგანს.	3	5
და	ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი	მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება– პრაქტიკული კურსი, ხელოვნების ისტორია – თეორიული კურსი, ხაზვა, თეატრალური ხელოვნება, მსოფლიო კულტურა			1	1
12 ან 13	**სავალდებულო საათების რაოდენობა კვირაში**		**35-39**			

XII კლასი

№	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
					სემესტრი	
		პროგრამული	აბიტური	აბიტურის კურსებში ოფიციალური შეფასება არ იწერება	I	II
1	ქართული, როგორც მეორე ენა	4	1		2	3
2	მშობლიური ენა	4			3	4
3	მათემატიკა	3	1		4	4
4	პირველი უცხოური ენა	2	1	1 საათი აბიტურისთვის დაეთმობა იმ ენას, რომელსაც მოსწავლე აბარებს საატესტატო გამოცდაზე.	3	2
5	მეორე უცხოური ენა	0-2			2	2
6	საქართველოს და მსოფლიო ისტორია	2	1		1	1
7	გეოგრაფია		1			
8	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	1/0		საგანი ისწავლება I სემესტრში	1	
9	ბიოლოგია		2			
10	ფიზიკა		2			
11	ქიმია	1	1		2	2
12	სპორტი	1				
	არჩევითი საგნები					
13	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი	ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, გლობალური პრობლემების გეოგრაფია, ეკონომიკა, სახელმწიფო და მოქალაქეობა, სამართალი, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება- პრაქტიკული კურსი, ხელოვნების ისტორია - თეორიული კურსი, ხაზვა, თეატრალური ხელოვნება, სახელობო განათლების საგნები.		მოსწავლე ირჩევს ნებისმიერ ერთ საგანს (განსხვავებულს იმისგან, რაც ჰქონდა არჩეული მე-11 კლასში,) არჩევითი საგნის ნაცვლად შესაძლებელია, სკოლამ მოსწავლეებს სახელობო განათლების საგანი შესთავაზოს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 63[4] მუხლის შესაბამისად.	1	1
	საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი				1	1
	ესთეტიკური, შრომითი დაფიზიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფი				1	1
	სახელობო განათლება					
14	**სავალდებულო საათების რაოდენობა კვირაში**	**30-32**		**I სემესტრში**		
		29-31		**II სემესტრში**		

მუხლი 2
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**